პროგრამის სახელწოდება: თმის შეჭრა და ვარცხნილობის მოდელირება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 3

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20 სთ.

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა - 235 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური - 8 **მაქსიმალური** -12

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

საბაზო განათლება

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს კონკრეტული ცოდნისა და პროფესიული უნარების მქონე კვალიფიციური კადრი, რომელიც შეძლებს თმის შეჭრასა და ვარცხნილობის მოდელირებას შესაბამისი სტანდარტების დაცვით .

პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა.

პროფესიული განათლება არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

სწავლის შედეგები:

1. ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები და სამუშაო გარემოს ორგანიზება
2. თმის შეჭრა და საბოლოო ფორმის მიცემა
3. წვერ-ულვაშისა და ბაკენბარდების მოდელირება
4. ვარცხნილობების შესრულება სხვადასხვა ფორმით და სტილით

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული მომზადების პროგრამაზე „თმის შეჭრა და ვარცხნილობის მოდელირება“ სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან საბაზო განათლების მქონე პირს, რომელსაც სურვილი აქვს მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/უნარები და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა, 235 საათი, კვირეული დატვირთვა 20 სთ, ბოლო კვირას 15 სთ - შეფასება.

სწავლა განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგების მიღწევა განხორციელდება სსიპ კოლეჯში „ოპიზარი“ , სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ C- სასწავლო გარემოში. პროგრამით გათვალისწინებული მასალის შესწავლისას გამოყენებული იქნება სწავლის მეთოდები: მინი ლექცია, დმონსტრირება, პრაქტიკული მეცადინეობა. მსმენელების შეფასებისას გამოყენებული იქნება ყოველკვირეული განმავითარებელი შეფასება, ხოლო პროგრამის ბოლოს - განმსაზღვრელი შეფასება, შეფასების მეთოდით - პრაქტიკული დავალება - დაკვირვებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებულები მიიღებენ კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიის დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.